

საქართველოს კანონი

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №41, 8.10.1997, გვ. 16) 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ამ კანონის მე-19 მუხლის ამოქმედებამდე გაიარეს სამხედრო მომზადების კათედრის სრული კურსი, მიენიჭოთ რიგითის სამხედრო წოდება და ჩაირიცხონ სამხედრო ძალების რეზერვში.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი